ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

განკარგულება:**გ-13. 1325282001**

თარიღი:**09/10/2025**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ. დ'' ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-6 პუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, 2 წლის ვადით, გადასცეს ა(ა)იპ "საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი"- ს, აშშ-ს ევროპული სარდლობის ჰუმანიტარული დახმარების პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემული სხვადასხვა დასახელების სამედიცინო აღჭურვილობა (ულტრაბგერითი მოწყობილობა 3D გადამყვანებით: ამოზნექილი, ხაზოვანი, ვაგინალური, დოპლერი - 1 ცალი; ელექტროკარდიოგრაფი 12 არხით - 1 ცალი; ბიოქიმიური ანალიზატორი ავტომატური ანალიზატორით - 1 ცალი; იმუნოფენოტიპის ანალიზატორი - 1 ცალი) - შემდგომი გამოყენების მიზნით.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ა).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი